ლევან სამხარაულის სახელობის

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

5002687516

№ 5002687516

24/05/2016

201

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის მ.შ.ს ბნ გიორგი შალუტაშვილს

ბატონო გიორგი,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N490309 მომართვის (ბიუროს 2016 წლის 10 მაისის რეგისტრაციის N1003520716) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N002939616 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 16 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი თვაური

ბიუროს უფროსი

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84 (995 32) 225

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia (995 32) 229

info@forensic

ქუთაისი 4600, მესხის ქ. №5 (995 431) 21

5 Meskhi str. Kutaisi 4600., Georgia info@forensic

ბათუმი 6000, პუშკინის ქ. №145 (995 422) 27

145 Pushkini str. Batumi., Georgia info@forensic

002939616

ექსპერტის დასკვნა № 002939616

## გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

## ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

**დამნიშნავი :**

სტრუქტურა: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ქვესტრუქტურა: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

თანამდებობა: დირექტორის მ.შ.

მისამართი: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #1, შენობა-ნაგებობა #1, სართული 2

სახელი და გვარი: გიორგი შალუტაშვილი

დოკუმენტის შემდგენი პირი: ლია ერაძე

საფუძველი: მომართვა

**შემსრულებელი ექსპერტები :**

ავთანდილ რომელაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 29 წლის სტაჟით.

## ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

... გთხოვთ, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შესწავლილი იქნას და მომზადდეს შესაბამისი დასკვნა დაჩქარებულ ვადაში, თუ რამდენად მოახდენს ჩვენს მიერ აკაკი წერეთლის #134, (საკადასტრო კოდი 01.13.04.017.019) მდებარე შენობის დემონტაჟი, მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე (01.13.04.017.019 საკ. გეგმაზე შენობა ნაგებობა #03/2 და 01.13.04.017.027 საკ. გეგმაზე შენობა-ნაგებობა 1/3) ზეგავლენას.

შემოსვლის თარიღი: 10.05.2016წ.

გასვლის თარიღი: 23.05.2016წ

## დასკვნა

ქ. თბილისში, 01.13.04.017.019 საკ. გეგმაზე შენობა ნაგებობა #03/2 საერთო ტექნიკური მდგომარეობა ძირითადში დამაკმაყოფილებელია. დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით დაზიანებები შეესაბამება I ხარისხს. (უმნიშვნელოდან მსუბუქამდე დაზიანება)

ქ. თბილისში, 01.13.04.017.027 საკ. გეგმაზე შენობა ნაგებობა #1/3 საერთო ტექნიკური მდგომარეობა (გამოკვლეული ნაწილის) არადამაკმაყოფილებელია. დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით დაზიანებები შეესაბამება I-II ხარისხს. (უმნიშვნელოდან მსუბუქამდე დაზიანება-საშუალო დაზიანება)

ქ. თბილისში, წერეთლის გამზირის #134-ში დაგეგმილი სადემონტაჟო სამუშაოები უნდა განხორციელდეს შესაბამისად დამუშავებული დემონტაჟის პროექტის მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სადემონტაჟო სამუშაოების

განხორციელება მცირე სიმძლავრის მექანიზმებით, რომელთა მუშაობით წარმოქმნილი ვიბრაციები მინიმალურია და არ გამოიწვევენ მომიჯნავედ მდებარე შენობებზე რეზონანსული რხევების წარმოქმნას. მძიმე ტექნიკის, მაგალითად ე.წ. „კოდალა"-ს გამოყენებით სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას მოსალოდნელია მომიჯნავედ არსებული (შენობა #03/2 და 1/3) შენობების დაზიანების ხარისხის გაზრდა. საძირკვლების დემონტაჟი უნდა განხორციელდეს მხოლოდ დეტალური კვლევის ჩატარების შემდეგ, რომლითაც დადგინდება სადემონტაჟო და მომიჯნავედ მდებარე შენობების საძირკვლების ურთიერთ განლაგება და მიღებული იქნება შესაბამისი კონსტრუქციული გადაწყვეტა

ავთანდილ რომელაშვილი

## გამოკვლევა

2016 წლის 19 მაისს ვიზუალურად შესწავლილი იქნა, ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირის #134-ში მდებარე სსიპ „თბილისის ხელოვნების კოლეჯი"-ს შენობის მომიჯნავედ მდებარე შენობების (01.13.04.017.019 საკ. გეგმაზე შენობა ნაგებობა #03/2 და 01.13.04.017.027 საკ. გეგმაზე შენობა-ნაგებობა 1/3) ტექნიკური მდგომარეობა.

ქ. თბილისში, 01.13.04.017.019 საკ. გეგმაზე შენობა ნაგებობა #03/2 აგებულია XX საუკუნის 80-იან წლებში იმ დროს მოქმედი სეისმური ნორმების შესაბამისად. შენობა ორსართულიანია და განთავსებულია სწორ რელიეფზე. გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა, გაბარიტული ზომებით დაახლოებით 30,0x12.0 მ. პირველ სართულზე შენობა ორმალიანია, ხოლო მეორე სართულზე ერთმალიანი. მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს სამრეწველო კარკასი. სვეტების განივი კვეთი 40x40 სმ, ხოლო რიგელებისა 50x50 სმ. სართულშუა გადახურვა შესრულებულია რკინაბეტონის ანაკრები ღრუტანიანი ფილებით. მეორე სართულის გადახურვის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს ორქანობიანი რკინაბეტონის ანაკრები კოჭები. გარე შემომსაზღვრავი კედლები ამოყვანილია წვრილი ბეტონის ბლოკითა და სილიკატური აგურით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე. პირველი სართულის სიმაღლე 3,4 მ-ია. მეორე სართულის ვიზუალური შესწავლა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. პირველ სართულზე ამჟამად ფუნქციონირებს საბანკეტო დარბაზი. უკანა ფასადის მხრიდან შენობაზე მიდგმულია ერთსართულიანი ნაგებობა, რომლის ფართის ნაწილიც საბანკეტო დარბაზისათვის წარმოადგენს დამხმარე სათავსოს. (ფოტო 1, 2)

დღევანდელი მდგომარეობით საკვლევი შენობის შიგა სივრცეში, პირველ სართულზე ჩატარებულია სარემონტო-მოპირკეთებითი სამუშაოები და რაიმე სახის დაზიანებები არ აღინიშნება. (ფოტო 3, 4) ფასადზე ბათქაშის ფენაში შეინიშნება სხვადასხვა მიმართულების ბზარები გახსნილობით ბეწვისებურიდან 2 მმ-მდე. ცალკეულ მონაკვეთებზე ბათქაშის ფენა აშრევებული და ჩამოცვენილია. (ფოტო 5, 6, 7) ფასადიდან მარჯვნივ მდებარე ტორსულ კედელზე წარმოქმნილია ვერტიკალური ბზარი გახსნილობით 3 მმ-მდე. (ფოტო 8) უკანა ფასადის მხრიდან საკვლევ შენობაზე მიდგმულია ერთსართულიანი საწარმოო კორპუსი. დაგეგმილია აღნიშნული კორპუსის დემონტაჟი. ხილული კონსტრუქციული კავშირი შენობებს არ გააჩნიათ. ერთსართულიანი შენობის დემონტაჟისას შენობებს შორის არსებული საერთო ღიობები უნდა იყოს შევსებული.

ამრიგად, ქ. თბილისში, 01.13.04.017.019 საკ. გეგმაზე შენობა ნაგებობა #03/2 საერთო ტექნიკური მდგომარეობა ძირითადში დამაკმაყოფილებელია. დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით დაზიანებები შეესაბამება I ხარისხს. (უმნიშვნელოდან მსუბუქამდე დაზიანება)

ქ. თბილისში, 01.13.04.017.027 საკ. გეგმაზე შენობა ნაგებობა #1/3 სავარაუდოთ აგებულია XX საუკუნის 50-იან წლებში. შენობა სამსართულიანია და განთავსებულია სწორ რელიეფზე. გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა, გაბარიტული ზომებით დაახლოებით 50,0x15.0 მ. და გადაწყვეტილია მზიდი კედლების ვარიანტში. კედლები სისქით 40 სმ ამოყვანილია წვრილი ბეტონის ბლოკით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე. სართულის სიმაღლე 4,0 მ-ია. ფასადებზე, ყოველ 6,0 მ-ში ამოყვანილია პილონები, რომლებზეც დაყრდნობილია გადახურვის რკინაბეტონის კოჭები. სართულშუა და სასხვენო გადახურვა ხისაა. სავარაუდოთ შენობა თავდაპირველად იყო ორსართულიანი, ხოლო მოგვიანებით განხორციელდა ერთი სართულის დაშენება. სახურავი ოთხქანობიანი თუნუქის ბურულით ხის ნივნივებზე. სართულშუა და სასხვენო გადახურვის დონეზე შენობას გააჩნია ანტისეისმური რკინაბეტონის სარტყელი. დერეფანში მაცხოვრებელთა მიერ წვრილი ბეტონის ბლოკებით ამოყვანილია 20 სმ სისქის კედლები, რომლებიც ეყრდნობიან ხის სართულშუა გადახურვას და რომელთაც არ გააჩნიათ კავშირები მზიდ კედლებთან. საკვლევი შენობის ფასადიდან მარჯვნივ მდებარე გრძივი კედლის დაახლოებით 12 მ-იანი მონაკვეთი უშუალოდ ემიჯნება ხელოვნების კოლეჯის სასწავლო კორპუსს, ახლო მომავალში დაგეგმილია აღნიშნული კორპუსის დემონტაჟი. ჩვენს მიერ ვიზუალურად შესწავლილი იქნა საკვლევი შენობის დაახლოებით 25 მ-იანი მონაკვეთი, რომელზეც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მომიჯნავედ მდებარე შენობის დემონტაჟმა. (ფოტო 9, 10, 11)

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2




ფოტო 3




ფოტო 4




ფოტო 5




ფოტო 6




ფოტო 7




ფოტო 8




ფოტო 9




ფოტო 10




ფოტო 11




ფოტო 12




ფოტო 13




ფოტო 14




ფოტო 15




ფოტო 16




ფოტო 17




ფოტო 18




ფოტო 19




ფოტო 20




ფოტო 21




ფოტო 22




ფოტო 23




ფოტო 24



ფოტო 25



ფოტო 26

3002958516

მიღება-ჩაბარების აქტი № 3002958516

| რეგიონი | თბილისი | დასრულების თარიღი | 24/05/2016 |
|---|---|---|---|

**დოკუმენტი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| რეგისტრაციის ნომერი: | 1003520716 | მომსახურების ტიპი: | დაჩქარებული |
| რეგისტრაციის თარიღი: | 10/05/2016 | საქმის ნომერი: | |
| ხელშეკრულების ნომერი: | 2000060316 | ხელშეკრულების თარიღი: | 18/01/2016 - 31/01/2017 |
| შეთანხმების ნომერი: | | შეთანხმების თარიღი: | |
| დასკვნის ნომერი: | 002939616 | | |

**ექსპერტიზის დამკვეთი :**

| | |
|---|---|
| სახელი და გვარი: | გიორგი შალუტაშვილი |
| პირადი ნომერი: | 00000000000 |
| სტრუქტურა: | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| ქვესტრუქტურა: | სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო |
| დასახელება: | |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 00000000000 |
| თანამდებობა: | დირექტორის მ.შ. |
| დოკუმენტის შემომტანი: | თეიმურაზ მაჩაიძე |

| შესრულებული კვლევის კოდი (საქ.მთავრობის 08.05.2012 N171. დადგენილების მიხედვით) | ობიექტების რაოდენობა | საექსპერტო (დაჩქარებული) მომსახურების ტარიფი კვლევის ერთეულზე (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით) | თანხა |
|---|---|---|---|
| 135. - ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა | 2 | 1000 | 2000 |
| | | | ჯამი: 2000.00 |
| | | | საბოლოო ფასი: 2000.00 |

**შემსრულებელი ექსპერტ(ებ)ი (სპეციალისტი):**

| | |
|---|---|
| ავთანდილ რომელაშვილი | |
| სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი | [signature] |

| სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი / პასუხისმგებელი პირი | მიმღები პირი |
|---|---|
| [signature] (ხელმოწერა) | [signature] (ხელმოწერა) |
| | გაცემის თარიღი 25/05/2016 |

საჭიროა ანგარიშ-ფაქტურა